# ხელშეკრულება №03-05/70

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 09 ნოემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატო გოგუაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს მინია , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ მოსიძე სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ნათურა ჰალოგენური (CPV:31519100) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია ფორმა №3-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 338, 4(სამასსამოცდარვა ლარი და 40 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 30(ოცდაათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. ბათუმი,ინასარიძის N11).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების და--/ცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

### მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

### მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

### მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ - ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლა<br>ს/კ 245428997<br>მის: ქ. ბათუმი, ინასარიძის N11<br>ტელ:555 57 92 47 | შპს „მინია“<br>ს/კ 445391399<br>მის.: ქ.ბათუმი,გოტგილაძის 39/4<br>ტელ.: 22 83 83 |
| საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა GE16LB0121137795843000 | საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი“<br>ბანკის კოდი MIBGGE22<br>ა/ა GE42PC0033600100048317 |
| დირექტორი<br>ნატო გოგუაძე<br>-----------------------<br>(ხელმოწერა) ბ.ა | დირექტორი<br>ვლადიმერ მოსიძე<br>----------------------- |

ფასებისა და მოწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა №3
(ივსება მიმწოდებლის მიერ)

| № | საქონლის აღწერილობა | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) | CPV კოდი | მიწოდების ვადა და ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნათურა წალოგენური 77W E-27 | 150 | 2,256 | 338,4 | 31519100 | ქ. ბათუმი 19 ნოემბერი 2016 წელი |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | სულ ჯამი | | | 338,40 | | |

სსიპ ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლის დირექტორი /ნატო გოგუაძე/

შპს „მინია"-ის დირექტორი / ვლადიმერ მოსიძე/

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი 10..... ნოემბერი 2016 წელი

ეს აქტი შევადგინეთ „მომწოდებელმა შპს.,,მინია “-ს დირექტორმა ვლადიმერ მოსიძე და „შემსყიდველმა“ სსიპ ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლის დირექტორმა ნატო გოგუაძემ მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო ნათურა ჰალოგენური 77 W E-27 რომელშიც უნაღდო ანგარიშსწორებით „შემსყიდველი“ „მიმწოდებელს“ გადაუხდის **338.40 ლარს.** ეს აქტი შედგენილია სამ ეგზემპლიარად, ორი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს ხოლო ერთი შემსრულებელს.

სსიპ - ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლის დირექტორი /ნატო გოგუაძე/

შპს „მინია“-ის დირექტორი /ვლადიმერ მოსიძე/

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 02/11/2016 16:27

| | |
|---|---|
| 1 | ეა-08 0285146 |

| | | |
|---|---|---|
| 3 | ნოემბერი | 2016 |

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | 02 | ნოემბერი | 2016 |

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.1 | 2 | 4 | 5 | 4 | 4 | 2 | 8 | 8 | 2 | |

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| | |
|---|---|
| 5.2 | შპს ლიდერი |

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6.1 | 2 | 4 | 5 | 4 | 2 | 8 | 9 | 9 | 7 | |

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| | |
|---|---|
| 6.2 | სსიპ ქალაქ ბათუმის N 14 საჯარო სკოლა |

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| დისპენსერი BSS 2203 TT (ჭიქის დამჭერი კომპლექტში) | კომპლექტი | 2.0000 | 510.0000 | 77.8000 | 0.0000 |
| | | სულ | 510 | 77.8 | 0 |

| სასაქონლო ზედნადების No | | თარიღი | |
|---|---|---|---|
| 7 | 0270680046 | 8 | 01 - ნოემბერი - 2016 02:15 |

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა____________________ ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა____________________ ბ.ა.

LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

| | | | |
|---|---|---|---|
| | საგადახდო დავალება #: | 299 | GEL |
| | თარიღი: | 2016 წლის 11 11, პარასკევი | GEL 338.40 |
| გადამხდელის დასახელება: | სსიპ ქალაქ ბათუმის #14 საჯარო სკოლა | | თანხა სიტყვიერად |
| | ანგარიში (დებეტი): | GE16LB0121137795843000 | |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" | ბანკის კოდი: LBRTGE22 | სამას ოცდათვრამეტი *GEL* და *40* |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება: | სსიპ ქალაქ ბათუმის #14 საჯარო სკოლა | | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 245428997 | საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: | ბანკის აღნიშვნები |
| მიმღების დასახელება: | შპს "მინია" | | ბანკში შემოსვლის თარიღი: 11.11.2016 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 445391399 | ანგარიში (კრედიტი): GE42PC0033600100048317 | |
| მიმღების ბანკი: | სს "პროკრედიტ ბანკი" | ბანკის კოდი: MIBGGE22 | |
| გადახდის დანიშნულება: | ჰალოგენური ნათურების ღირებულება | | ხელმოწერა: |
| ხელმოწერა: | | ბ.ა. | |

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან